

საიდ. NN№71510/03

IR 739906

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №132-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ზაო ინტერნატიონალ ფეიფერი“-ის (ZAO International paper) (მის.:17, ზავოდსკაიას ქუჩა., სვეტოგორსკი, RU-188991 ვუბორგსკის რაიონი, ლენინგრადის რეგიონი;17, Zavodskaya str., Svetogorsk, RU-188991 Vyborgsky district, Leningrad region) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №132-03/14), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 მაისის №1142/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „BALLET“ (საიდ.№71510/03 IR 739906) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-16 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის №1142/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „BALLET“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „SOCIETE CIVILE MARBELOW INTELLECTUAL PROPERTIES" (მის: 27, boulevard Albert 1er, MC-98000 MONACO; MC) სახელზე 16-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „SPANDAU BALLET“ (IR 871869, რეგ. თარიღი 2005-06-08წ.). მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია ლათინურ ენაზე, ხოლო განცხადებული ნიშანი კირილიცაზე, ნიშნებს აქვთ იდენტური ჟღერადობა და მნიშვნელობა. დამატებითი სიტყვა „SPANDAU“ არ სძენს ნიშნებს საკმაო განმასხვავებლობას, რადგან ნიშანში ძირითად სიტყვას წარმოადგენს „BALLET“, რაც განცხადებული ნიშნის იდენტურია. შესაბამისად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BALLET“ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „BALLET“ დაცვის მინიჭებაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი. აპელანტის აზრით, დაპირისპირებული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განმასხვავებლობა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ.

ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც „ბალეტ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „შპანდაუ ბალეტ“.

აპელანტის აზრით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები სრულიად განსხვავებულად წარმოითქმის. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ორი სიტყვისაგან შედგება, პირველი სიტყვა „შპანდაუ“ საკმაოდ დასამახსოვრებელია, ის პირველ ადგილზეა სასაქონლო ნიშანში და მასზე მოდის სწორედ განმასხვავებლობის დატვირთვა. აპელანტის აზრით, დაპირისპირებულ ნიშანში დამატებითი სიტყვის არსებობა, რომელიც პირველ ადგილზე დგას, ანიჭებს ნიშანს იმ დონის განმასხვავებლობას, რომ მისი აღრევა წარმოდგენილ ერთსიტყვიან სასაქონლო ნიშანთან არ მოხდება.

სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცის ანბანის ასომთავრული შრიფტით, - „BALLET“, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, ასომთავრული ლათინური ანბანით - „SPANDAU BALLET“. კირილიცაზე შესრულებული განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი

ვიზუალური თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს ლათინური ანბანით შესრულებული ორსიტყვიანი ნიშნის „SPANDAU BALLET“-ის მსგავსად. შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ ნიშნების აღრევა, მათ შორის ასოცირების შედეგად, გამორიცხებულია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სასაქონლო ნიშანში ემთხვევა სიტყვა „ბალეტი“, აპელანტის ნიშანში ეს სიტყვა პირდაპირ უკავშირდება ბალეტს, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი მიაწინებს „შპანდაუს ბალეტზე“, „შპანდაუ“ კი ცნობილ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს გერმანიაში. „შპანდაუს ბალეტი“ მუსიკალური ჯგუფის დასახელებაა, რომელიც 1979 წელს არის დაარსებული დიდ ბრიტანეთში და ცნობილია მთელს მსოფლიოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის №1142/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „BALLET“ (საიდ.NN№71510/03 IR 739906) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №132-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგია, იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „BALLET და „SPANDAU BALLET“ არ არის აღრევამდე მსგავსი. სასაქონლო ნიშნები განსხვავდება როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. განსხვავებულია ასევე იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა.

სასაქონლო ნიშნებს შორის ვიზუალური განსხვავება აშკარაა იქედან გამომდინარე, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცის, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი -ლათინური შრიფტით. გარდა ამისა, ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას ამძაფრებს დაპირისპირებულ სასაქონლო

ნიშანში დამატებითი სიტყვიერი ელემენტის „SPANDAU“-ს არსებობა. კოლეგია მიიჩნევს, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ორი ნიშანი მოახდენს მომხმარებელზე, იქნება განსხვავებული სწორედ იმიტომ, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი განსხვავებულია. როგორც წესი, მომხმარებელი ძირითადად აქცენტს სასაქონლო ნიშნის სწორედ სიტყვიერი ელემენტის პირველ ნაწილზე აკეთებს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური განსხვავება საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ.

სასაქონლო ნიშნები ასევე განსხვავდებიან ფონეტიკურად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი არის „SPANDAU“, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ წაიკითხება როგორც „შპანდაუ“. ამდენად, განცხადებული ნიშანი გამოითქმის როგორც „შპანდაუ ბალეტ“, ხოლო დაპირისპირებული კი როგორც „ბალეტ“. რაც შეეხება ნიშნების სემანტიკურ მნიშვნელობას, კოლეგიის აზრით დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ელემენტის „SPANDAU“ არსებობა სძენს ნიშანს განსხვავებულ შინაარსობრივ დატვირთვას. კოლეგია მიიჩნევს, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშანი არის ერთი სიტყვისგან შემდგარი „БАЛЕТ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ელემენტი „SPANDAU“ განსაზღვრავს მეორე სიტყვიერ ელემენტს და ქართულად ითარგმნება, როგორც „შპანდაუს ბალეტი“. „Spandau Ballet“ წარმოადგენს მუსიკალური ჯგუფის სახელწოდებას, რომელიც ქალაქ ლონდონში მეოცე საუკუნის 70-იან წლებში დაარსდა. ჯგუფი „Spandau Ballet“ არის რამოდენიმე საერთაშორისო მუსიკალური ჯილდოს მფლობელი და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი. გარდა ამისა, „შპანდაუ“, წარმოადგენს გერმანიის ერთ-ერთი რეგიონისა და ბერლინის ერთ-ერთი გარეუბანის დასახელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანს „BAJIET“ (საიდ. NN№71510/03 IR 739906) უნდა მიენიჭოს დაცვა სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ზაო ინტერნატიონალ ფეიფერი“ (ZAO international paper) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №132-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის №1142/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BAJIET“ (საიდ. №71510/03, IR 739906) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-16 კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილაძე

წევრები:

ქ. კილაძე

ლ. კერესელიძე